

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/06

თბილისი

“ 29 “ იანვარი 2018 წ.

უწყვეტი განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის და რექტორის მოადგილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კონცეფცია

დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

უწყვეტი განათლების კონცეფცია

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
რექტორის ბრძანება N 01-01/06
29.01.2018 წ

უწყვეტი განათლების კონცეფცია

პრეამბულა

უწყვეტი განათლება და საზოგადოების განვითარების საქმეში წვლილის შეტანა გთუნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია მისიაში და 2017-2024 სტრატეგიული გეგმის ძირითად მიზნებში. აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების მიზნების რეალიზაციისთვის გთუნში, TEMPUS-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილია უწყვეტი განათლების ცენტრი „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა (LLL)“ არის საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის მიზანია პიროვნებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ოპტიმალური პირობების შექმნა;
2. ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის EUCEN თანახმად, „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლის შესაძლებლობების (საშუალებების), მომსახურებისა და კვლევის უზრუნველყოფა ადამიანთა ფართო სპექტრის პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საზოგადოებისა და რეგიონის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური წინსვლისთვის;
3. უნივერსიტეტში „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ ეფუძნება კვლევას, კონცენტრირებულია, ძირითადად, მსმენელთა საჭიროებებზე, ხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და გარეშე ფაქტორების გათვალისწინებით;
4. უწყვეტი განათლება მოხალისეობრივი, თვითმოტივირებაზე დაფუძნებული განათლებაა, რომელიც სოციალურ ინკლუზიას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და პერსონალურ განვითარებას გულისხმობს. ეს არის მრავალფეროვანი და კომპლექსური საშუალება იმისთვის, რომ ადამიანმა უზრუნველყოს საკუთარი თავის რეალიზება და საზოგადოებაში თვითდამკვიდრება.

მუხლი 2. უწყვეტი განათლების მიზნები

1. ბოლონის პროცესის მნიშვნელოვანი ამოცანის, უწყვეტი განათლების (Life Long Learning) იმპლემენტაცია;
2. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) საგანმანათლებლო პოლიტიკის რეალიზაცია, რომლის მიზანია პიროვნებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ოპტიმალური პირობების შექმნა;
3. ტრენინგ-პაკეტებისა და სასწავლო კურსების, განმავითარებელი საზაფხულო სკოლების პროგრამების შემუშავება, განხორციელება დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება;
4. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება;

5. საზოგადოების ფართო ფენების მომსახურებით გთუნის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება; მისი ეკონომიკური გაძლიერება დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენით;
6. საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაში წვლილის შეტანა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფებისთვის უწყვეტი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული განვითარების შესაძლებლობით;
7. საზოგადოების (მათ შორის საუნივერსიტეტო წრეების) დამოკიდებულების შეცვლა უწყვეტი განათლების მიმართ.
8. საერთაშორისო თანამშრომლობის, გაძლიერების ხელშეწყობა;
9. თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან.

მუხლი 3. მოსალოდნელი შედეგები

1. გთუნის შემოსავლების გარკვეულწილად ზრდა, რაც პოზიტიურად უნდა აისახოს სწავლებისა და კვლევის ხარისხზე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე;
2. უწყვეტი განათლების სფეროს პრესტიჟის ამაღლება და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება საზოგადოების მიერ;
3. საზოგადოებაში გთუნის ცნობადობის ამაღლება, ნდობის და გავლენის გაძლიერება;
4. გთუნის კურიკულუმის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება და მოდერნიზაცია;
5. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ევროპული გამოცდილების გაზიარება და უწყვეტი განათლების სფეროში ევროპული მიღწევების გათვალისწინება და დანერგვა.

მუხლი 4. გასატარებელი ღონისძიებები

1. „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ ასახვა დაწესებულების მისიაში, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ბიუჯეტში;
2. „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ დამოუკიდებელი სტრატეგიის შემუშავება; დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე. შესაბამისი სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმეებელი პირის (სტრუქტურული ერთეულის) განსაზღვრა;
3. „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ბოლონიის პროცესის შესაბამისი სარეკომენდაციო დოკუმენტების გაცნობა;
4. ბაზრის მოთხოვნების კვლევა.

მუხლი 5. საინფორმაციო უზრუნველყოფა

1. საზოგადოების ინფორმირება გაწეული საქმიანობის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულების, კურსების) შესახებ;
2. ვებ-გვერდის გამოყენება ინფორმაციის გავრცელებისთვის;
3. სარეკლამო კამპანიის წარმოება;
4. ინფორმაციის გავრცელება მოხდეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, ინტერნეტის, სოციალური ქსელების საშუალებით;

5. საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, პრეს-კონფერენციების ორგანიზება;
6. საინფორმაციო ბროშურების, ლიფლეტების დამზადება და გავრცელება.

მუხლი 6. დაფინანსება

1. უწყვეტი საგანმანათლებლო სერვისები დაფინანსდება გთუნის ბიუჯეტიდან და მსმენელთა მიერ;
2. შესაძლებელია საჭირო თანხების მოძიება, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების, სპონსორებისა და საერთაშორისო დონორების მოზიდვა;
3. საქმიანობის ეფექტურად წარმართვის შედეგად მიღებული შემოსავლების ასახვა გთუნის ბიუჯეტში.

მუხლი 7. უწყვეტი განათლება და აკრედიტაცია

1. აკრედიტაციას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები), რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია.

მუხლი 8. ადმინისტრირება

1. საორგანიზაციო და კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტა მოხდება ფაკულტეტების მიერ ერთობლივად, ფუნქციების შესაბამისი გადანაწილებით და ცენტრალური ადმინისტრაციის საერთო კოორდინაციით;
2. „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში“ პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭო, რომლის ხელმძღვანელს, შემადგენლობასა და ფუნქციებს ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 9. უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭო

1. „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში“ პროცესის კოორდინაციასა და ადმინისტრირებას ახორციელებს უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭო, რომლის ხელმძღვანელს და შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი;
2. საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირება უნდა იყოს მოქნილი და ოპერატიული, რათა ხელი არ შეეშალოს უწყვეტი განათლების ინიციატივების დროულ განხორციელებას;
3. საკოორდინაციო საბჭო განიხილავს უწყვეტი განათლების წარდგენილ პროგრამას (მოდულს/კურსს), დოკუმენტაციას, შესაბამისი ფაკულტეტის/კათედრის დასკვნას (იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა წარმოადგენს გთუნის კურიკულუმების ნაწილს და მინიჭებული აქვს კრედიტი), იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს სხდომაზე, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით;
4. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საკოორდინაციო საბჭო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
5. საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს და ახორციელებს უწყვეტი განათლების პროგრამების ხარისხის მონიტორინგს.

მუხლი 10. საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი

1. მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობებში განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში;
2. საერთო წესით ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას;
3. ადგენს ანგარიშს წლიური საქმიანობის შესახებ;

4. რექტორს წარუდგენს უწყვეტი განათლების პროგრამის, მოდულის, კურსის ხელმძღვანელს, ავტორს, კონტრაქტით მოსაწვევ პირთა კანდიდატურებს;
5. ორგანიზებას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა/ მსმენელთა მოწვევას და სასწავლო პროცესის წარმართვას;
6. ცენტრის კომპეტენციით განკუთვნილ საკითხებზე ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს რექტორს;
7. ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
6. აკონტროლებს სერტიფიკატის გაცემის სანდო აღრიცხვიანობას.

მუხლი 11. უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება, წარდგენა და განხორციელება

1. პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავება და წარდგენა შეუძლია მის ხელმძღვანელს/ავტორს, რომელიც შეიძლება იყოს გთუნის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პედაგოგი (მათ შორის საზღვარგარეთიდან), ან პრაქტიკოსი (მათ შორის საზღვარგარეთიდან), რომელსაც აქვს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის, სწავლების, კვლევის ან პრაქტიკული გამოცდილება :
2. უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის) განხორციელებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია გთუნის აკადემიურ პერსონალს ან მოწვეულ პედაგოგს ან პრაქტიკოსს (მათ შორის საზღვარგარეთიდან), რომელსაც აქვს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის, სწავლების, კვლევის ან პრაქტიკული გამოცდილება;

მუხლი 12. პროგრამები (მოდულები, კურსები)

1. შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) უნდა იყოს მრავალფეროვანი შინაარსობრივად და სტრუქტურულად;
2. უნდა ითვალისწინებდეს სამიზნე ჯგუფის პროფესიულ და პიროვნულ ინტერესებს, ბაზრის მოთხოვნებს;
3. გათვლილი უნდა იყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე, სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენისა და განათლების პირებზე (საზოგადოების ფართო ფენების ჩართვის მიზნით);
4. გათვლილი უნდა იყოს როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის არქმონე პირებზე (დამწყებთა კატეგორიაზე), ისე უკვე კვალიფიციურ კადრებზე და მიზნად უნდა ისახავდეს მათ პროფესიულ განვითარებას;
5. შეიძლება ემსახურებოდეს არა მხოლოდ სამიზნე ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებას, არამედ მათი ინტელექტუალური მოთხოვნებისა და ინტერესების (ჰობის) დაკმაყოფილებას;
6. სწავლების ხანგრძლივობა და ფორმები უნდა იყოს მრავალფეროვანი. მაგალითად, სრულ ან ნახევარგანაკვეთიანი (full-time/part-time) სწავლება, მოკლევადიანი (15 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის) ან გრძელვადიანი (15 დღეზე მეტი ხანგრძლივობის) კურსები, სადამოს საათებში სწავლება, დისტანციური, ელექტრონული სწავლება და სხვ.;

7. საგანმანათლებლო კურსები (მოდულები, კურსები) შეიძლება ინტეგრირებული იყოს ძირითად საგანმანათლებლო პროგრამაში;
8. საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულს, კურსს) სასურველია მინიჭებული ჰქონდეს ECTS კრედიტები, როგორც განათლების აღიარების და ზოგადად ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი;
9. საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) სწავლის შედეგები სასურველია აღწერილი იყოს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით, რაც განათლების აღიარების და ზოგადად ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი;
10. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ ეგიდით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდული, კურსი) შეიძლება არ ჰქონდეს მინიჭებული კრედიტი;
11. სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელი/კურსდამთვარებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს, რომლის გაცემის პირობები აღწერილი უნდა იყოს კონკრეტულ პროგრამაში (მოდულში, კურსში);
12. სერტიფიკატის მიმღები (ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი) რეგისტრაციის ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს სერტიფიკატის მიღების ფაქტს;
13. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ ეგიდით გთუნი მოახდენს უკვე არსებული პროგრამების (მოდულების, კურსების) მოდიფიცირებას (საჭიროების შემთხვევაში) და/ან ახალი პროგრამების (მოდულების, კურსების) შემუშავებასა და ამოქმედებას;
14. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ ეგიდით შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) მსმენელებს შესთავაზებს სწავლების მრავალფეროვან და თანამედროვე მეთოდებს სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის (ასაკის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების, ინტერესების) გათვალისწინებით.

მუხლი 13. უწყვეტი განათლება ძირითადი სამიზნე ჯგუფების მიხედვით

1. უწყვეტი განათლების სამიზნე ჯგუფებია უნივერსიტეტის გარეთ საზოგადოება და/ან თავად უნივერსიტეტი;
2. შიდა (კორპორატიული) უწყვეტი განათლება ემსახურება გთუნი–ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სამსახურში ახლადაყვანილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, გთუნის სტუდენტთა უზრუნველყოფას დამატებითი განათლებით, მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, სწავლების, სწავლისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას;

მუხლი 14. შიდა (კორპორატიული) უწყვეტი განათლება

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტთათვის უწყვეტი განათლების ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს:

აკადემიური პერსონალისთვის:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- კვლევის თანამედროვე მეთოდები (დარგების მიხედვით);
- უცხო ენები (მათ შორის დარგობრივი ტერმინოლოგია);

- კომპიუტერული წიგნიერება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებასა და კვლევაში;
- ელექტრონული კურსების მომზადება (moodle და სხვ.);
- კურიკულუმის, სილაბუსის შემუშავება;
- სწავლის შედეგების აღწერა დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით;
- კრედიტების სისტემა;
- ბოლონიის პროცესი;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტები და ფონდები;
- მეცნიერების მენეჯმენტი;
- პროექტის წერა და სხვ.

ადმინისტრაციული პერსონალისთვის:

- მენეჯმენტის საფუძვლები;
- მარკეტინგი;
- დროის მენეჯმენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- კომუნიკაცია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- აკადემიური წერის სტანდერტები;
- უცხო ენები (განსაკუთრებით ინგლისური ენა);
- დოკუმენტაციის მომზადება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისთვის და სხვ.

სტუდენტთათვის:

- დარგობრივი და/ან ზოგადი უნარების (კომპეტენციების) განმავითარებელი მოკლე და გრძელვადიანი კურსები/ტრენინგები/პროგრამები;
- კურსები/ტრენინგები/პროგრამები მხოლოდ ზოგადი განათლებისთვის, პირადი ინტელექტუალური ინტერესისა თუ „ჰობის“ დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, შემდეგ სფეროებში: ხელოვნება, მუსიკა, თეატრი, კინო, ფოტოგრაფია, ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კულტურა და სხვა.

მუხლი 15. „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ ფართო საზოგადოებისათვის

1. მრავალფეროვანი, დარგობრივი და/ან ზოგადი უნარების (კომპეტენციების) განმავითარებელი მოკლე და გრძელვადიანი კურსები/ტრენინგები/პროგრამები;
2. საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენები, ე. წ. დარგობრივი ენა (ტერმინოლოგია), ეკონომიკა და განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირება (საბუღალტრო, საბანკო, საბაჟო საქმე, ზოგადი მენეჯმენტი, ტურიზმი და სხვ.), სტატისტიკა, სამართალმცოდნეობა (ცალკეული დარგობრივი კურსი დამატებითი კვალიფიკაციის მოსაპოვებლად), ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, დიპლომატია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლების და კვლევის თანამედროვე მეთოდები (დარგების მიხედვით) და სხვა.
3. კურსები/ტრენინგები/პროგრამები მხოლოდ ზოგადი განათლებისთვის, ამა თუ იმ ადამიანის პირადი ინტელექტუალური ინტერესისა თუ „ჰობის“

დასაკმაყოფილებლად, შემდეგ სფეროებში: ხელოვნება, მუსიკა, თეატრი, კინო, ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კულტურა და სხვა.

მუხლი 16. მოთხოვნები უწყვეტი განათლების პროგრამისადმი (მოდულის, კურსისადმი)

1. გთუნი აწესებს მოთხოვნებს უწყვეტი განათლების პროგრამის (მოდულის, კურსის), სტრუქტურის, შინაარსობრივი აღწერისა და უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმართ;
2. სწავლების განხორციელების სხვა საკითხებში პედაგოგი და/ან პრაქტიკოსი მოქმედებს საკუთარი კომპეტენციისა და შეხედულებების ფარგლებში.

მუხლი 17. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ზოგად ინფორმაციას:

1. პროგრამის სახელწოდება;
2. პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა (არსებობის შემთხვევაში) და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით;
3. პროგრამის ხანგრძლივობა;
4. პროგრამის განხორციელების ადგილი და ფორმა;
5. პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა;
6. პროგრამის ხელმძღვანელი (დანართის სახით მისი CV);
7. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები (დანართის სახით მათი CV);
8. პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი;
9. პროგრამის ღირებულება;
10. პროგრამის შემუშავების თარიღი.

მუხლი 18. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამა უნდა შეიცავდეს შინაარსის აღწერას და მონაცემებს განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ:

1. პროგრამის მიზნები;
2. პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები/კომპეტენციები;
3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (ძირითადი საკითხები, მათი განაწილება დროში, ლიტერატურა, მისი ხელმისაწვდომობა);
4. გამოყენებული მეთოდები;
5. მონაწილეთა შეფასების სისტემა;
6. სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები;
7. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მუხლი 19. უწყვეტი განათლების პროგრამების (მოდულის, კურსის) ხარისხის მონიტორინგი

1. უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს მიერ სისტემატურად განხორციელდება პროგრამის (მოდულის, კურსის) ხარისხის მონიტორინგი შეფასების განსაზღვრული კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით;
2. პროგრამის ხარისხის შეფასებისთვის კრიტერიუმებად გამოყენებულია პროგრამის შესაბამისობა მისი შემუშავების მოთხოვნებთან, რაც მოცემულია ამ კონცეფციის ბე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში;
3. პროგრამის ხარისხის შეფასების ინდიკატორებია:

- მსმენელთა და/ან კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის გავლის მსურველთა, მსმენელთა და/ან კურსდამთავრებულთა რაოდენობა;
- პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა.

მუხლი 20. უწყვეტი განათლების ცენტრი „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“

1. გთუნიში პროგრამები „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ ეგიდით ხორციელდება უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ მეშვეობით.
2. უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ საქმიანობა რეგულირდება ამ კონცეფციის შესაბამისად.

მუხლი 21. უწყვეტი განათლების კონცეფციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წინამდებარე კონცეფციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. კონცეფცია ძალაშია და ამოქმედებას იწყებს მისი დამტკიცების მომენტიდან;
4. კონცეფცია ძალას კარგავს ახალი კონცეფციის დამტკიცების შემთხვევაში.

გთუნიის უწყვეტი განათლების კონცეფციის შემუშავების თეორიული საფუძვლები:

1. “მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა” სახელმძღვანელო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. გზამკვლევი. „მწიგნობარი“ 2016 (რედ. ი.დარჩია);
2. European Universities’ Charter of Life Long Learning. Sorbonne, December 2007. EUA, 2008;
3. ევროპის უნივერსიტეტების ქსელის „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ (European University Lifelong Learning Network: www.eullearn.net) მასალები;
4. ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის (EUCEN – European University Continuing Education Network: www.eucen.org) მასალები;
5. ტემპუსის პროექტის:” Strengthening the Specific Roles of Universities as LLL Institutions(SSRULLL)” 544251-Tempus-1-2013-Ge-Tempus-JPHES მასალები. 2016